სს საქართველოს ბანკი
წარდგენის თარიღი: 14.08.2026
მიღების თარიღი: 14.08.2026

საქართველოს ბანკ
BANK OF GEORGIA

საგადახდო დავალება 48339341945

გადამხდელი	ახალზედაშვილი დავით
გადამხდელის ანგარიში	GE85BG4501981010090000
გადამხდელის ბანკი	სს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22
მიმღები	ქ. თბილისი
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი	300773263
მიმღების ბანკი	სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
გადასახადის გადამხდელი	შპს პალადა
საიდენტიფიკაციო/პირადი N	406046906
დანიშნულება	დადგენილების N 006569, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.
დამატებითი ინფორმაცია	
თანხა	**8,000.00 GEL** რვა ათასი ლარი 00 თეთრი
საკომისიოს ანგარიში	GE85BG4501981010090000
საკომისიო	0.00 GEL ნული ლარი 00 თეთრი

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება მომდევნო სამუშაო დღეს განხორციელდება.

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA 3158 BAGAGE22

კლიენტი _____ ბანკი _____

-კონფიდენციალური-
-Confidential-

სს "საქართველოს ბანკი" BAGAGE22
ოპერაციის თარიღი: 14.08.2026
შესრულების თარიღი: 14.08.2026

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ანგარიშზე შემოსავლის დოკუმენტის N 84061/9895

კლიენტი	ახალზედაშვილი დავით
დაბადების თარიღი	01.08.1986
პირადი ნომერი	01019021500
ანგარიშის მფლობელი	ცენტრალური ფილიალი
ანგარიში	GE85BG4501981010090000
სალაროს ანგარიში	10059810100100000000
დანიშნულება	დადგენილების N 006569, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.
თანხა	**8,004.00 ლარი** რვა ათას ოთხი ლარი 00 თეთრი

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA 3458 BAGAGE22

კლიენტი _____ ბანკი _____

-კონფიდენციალური-
-Confidential-

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.19.21.001.029**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882025409654 - 10/04/2025 15:36:42

მომზადების თარიღი
10/04/2025 16:07:53

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	სამგორი		
01	**19**	**21**	**001/029**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთის , N 5ბ

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 904.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**001;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1 ფართით 652.20 კვ.მ N2 (დამხმარე ნაგებობა) საერთო ფართით 176.34 კვ.მ, N3 (დაცვის შენობა) ფართით 16.61 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012238896 , თარიღი 29/05/2012 14:05:39
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/06/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება Nბ-12/75054-16 , დამოწმების თარიღი:28/11/2008 , ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
- ბრძანება Nბ-12/29972-16 , დამოწმების თარიღი:26/04/2011 , ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
- სანოტარო წესით 2006 წლის 27 იანვარს დამოწმებული ნასყიდობის ხელშეკრულება (რეესტრის N1-822, ნოტარიუსი მ. ბუბაშვილი).
- შპს "პალადა"-ს პარტნიორთა კრების ოქმი. , დამოწმების თარიღი:13/04/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "პალადა" , ID ნომერი:406046906

მესაკუთრე:
შპს "პალადა"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021226169 თარიღი 25/03/2021 17:23:35

მოიჯარე: შპს "როლი" 405359847;
საგანი:შენობა N3 ფართით 16.61 კვ.მ ;
ვადა:5 წელი;
იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი25/03/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 30/03/2021

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11ე907-26
"25" 06 2026 წ

დადგენილება №006569
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

25.06.2026წ. ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა, განვიხილე, 2026 წლის 13 მაისის №006569 მითითება და 2026 წლის 25 მაისის №006569 შემოწმების აქტი, შედგენილი შპს "პალადა"-ს (ს/ნ 406046906; მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ. №5ბ) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ქუჩა ჯავახეთის №5ბ, №01.19.21.001.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შპს "პალადა"-ს მიერ, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, მოწყობილია ბეტონის ფილა და არმატურის ბადე.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ, 2026 წლის 13 მაისს, შედგა №006569 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 10 (ოცი) კალენდარული დღის ვადა, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან უსაფრთხოების წესების დაცვით, დემონტაჟის განსახორციელებლად.

2026 წლის 25 მაისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ, შედგა №006569 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2026 წლის 02 ივნისს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის ზეპირი განხილვა. საქმის განხილვის თარიღისა და დროის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შპს "პალადა"-ს წარმომადგენელი მოქ. ჯემალ აბაიშვილი (პინდ. №251180574), რომელმაც განაცხადა, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია შპს "პალადა"-ს მიერ. მხარემ ეთანხმება მითითებაში დაფიქსირებულ დარღვევებს და ითხოვა კანონით გათვალისწინებული ზომების გატარება.

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ: (+995 32) 2 378 501, 2 378 396
განთავსდა ობიექტის ფასადზე 06.08.26წ.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ 2026 წლის 25 ივნისს ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ 2026 წლის 13 მაისის №006569 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, არ იქნა შესრულებული. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია იმ სუბიექტთა წრე, რომლებზეც შესაძლოა გავრცელდეს სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში არსებული ნორმების მოქმედება. ზოგადი წესის თანახმად, სანებართვო დოკუმენტაციის დარღვევით ან მის გარეშე მშენებლობის განხორციელებისათვის, პასუხისმგებლობა ეკისრება მშენებლობის განმახორციელებელ პირს, ანუ პირს, უშუალოდ რომლის ქმედებამაც გამოიწვია სამშენებლო სამართალდარღვევა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ასეთი პირის დადგენა, სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შენობა-ნაგებობის ან/და მიწის სამშენებლო ნაკვეთის მესაკუთრეს ან მოსარგებლეს.

მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისში, ქუჩა ჯავახეთის №5ბ, №01.19.21.001.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელს წარმოადგენს შპს "პალადა".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს "პალადა"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ქუჩა ჯავახეთის №5ბ, №01.19.21.001.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, მოწყობილია ბეტონის ფილა და არმატურის ბადე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის პირველი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, 127-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 127-ე მუხლის მესამე ნაწილით, 128-ე მუხლის მესამე ნაწილით, 131-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. შპს "პალადა" დაჯარიმდეს 8 000 (რვა ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ქუჩა ჯავახეთი №5ბ, №01.19.21.001.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, ბეტონის ფილისა და არმატურის ბადის მოწყობისათვის;

2. ქ. თბილისში, ქუჩა ჯავახეთის №5ბ, №01.19.21.001.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის, მესაკუთრეს დაევალოს, ამავე მისამართზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, მოწყობილი ბეტონის ფილისა და არმატურის ბადის დემონტაჟი;

3. შპს "პალადა"-ს დაევალოს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შპს "პალადა"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ ხოლო საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი 3 თვის შემდეგ სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი გ. ჩიქოვანი